ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 163
ავგისტოს 2, პარასკევი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 163
ავგისტოს 2, პარასკევი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო
(მუხრანიანთ ქუჩიდან) და
მაღაზია
(სასახლის ქუჩიდან)
გადადის ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო). (ნ)

ქუთაისში ვ. ნ. წერეთლის წიგნის მაღაზიაში
(საკრებულო ტაძრის პირდაპირ)

დღეიდგან ისყიდება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის **აბრეშუმის ქსოვილები ფას-დაკლებით** $25^0/_0$-ამდე (**ცხვირ-სახოცები, ყელსახვევები (შარფები) ქალთა და კაცთა სატანისამოსე დარაიები, ფერადი, თეთრი და სხვა**).

მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამხანაგობის ქსოვილები ბევრად უკეთესია ქარხნის ნაწარმოებზედ თავის გამძლეობით (სიმტკიცით), ვინაიდგან:

1, ამხანაგობის ქსოვილები არის დამზადებული ნამდვილ აბრეშუმის ძაფისაგან.

2, ძაფი არის ხელით ნაკეთები და სხვილი.

ზემო აღნიშნული ღირსებები ამხანაგობის ქსოვილებისა არიან მიზეზი მისი სიძვირისა; ახლა, როდესაც ამხანაგობა ერთად-ერთ ნაკლს თავის ქსოვილებისას,—სიძვირეს—სპობს **ფასის დაკლებით**, ვიმედოვნებთ, პატივცემული საზოგადოება დაეშურება ამხანაგობის ქსოვილების ყიდვას.

ამხანაგობის გამგეობის } თავმჯდომარე პ. მდივანი
წევრი ვ. კიწმარიშვილი

(10—ნ.—5) ამხანაგობის გამგე **ნ. წერეთელი**

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (ციმბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, საცა პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა, ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლი № 10.

სახლო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.
(120—ნ.—9)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

ტფილისში ქართულ სახალხო წარმოდგენების გამმართველ სექციის მონდობილობით უმორჩილესადა ვთხოვ ქართველ საზოგადოებას სახალხო თეატრს დახმარება აღმოუჩინოს ფულით, სცენაზე მოღვაწეობით და ტანისამოსის შემოწირვით. რა დიდი მნიშვნელობაცა აქვს სახალხო თეატრს ერის თვით-ცნობიერებისათვის, ეს ყველას კარგათ მოეხსენება და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, საჭიროა მხოლოდ ხელი შევუწყოთ ამ დიად საქმის კეთილად მოწყობასა და, რადგანაც ქართული სახალხო თეატრი ქონებრივად ძრიელ ხელ-მოკლეა, ნაკლებათა ჰყავს სცენაზე მოთამაშე ქალები და გარდერობიც თითქმის ცალიერი აქვს, ვიმედოვნებთ, რომ ქართველი საზოგადოება და მშრომელი ხალხის თანაგრძნობნი თავისს წვლილს არ დაიშურებენ და ამ ჩვენ მოწოდებას უყურადღებოთ არ დასტოვებენ. ვინც კეთილ ინებებს სცენაზე მონაწილეობის მიღებას და ან მოისურვებს წვლილის გამოღებას,(ფულით იქნება,თუ ტანისამოსით), ვთხოვთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: ავჭალის ქუჩა. № 72, ბინა მ. ი. ღემურიასი.

სახალხო წარმოდგენები დაიწყება პირველ სექტემბრიდან და, ვისაც სახალხო სცენაზე მოღვაწეობა ჰსურს, ვთხოვთ წერილობით შეგვატყობინონ და, გამოცხადდენ სახალხო აუდიტორიაში (ავჭალის ქუჩა) აგვისტოს 20-ს, საღამოს 7 საათზე.

გვარი და სახელი სცენაზე მოღვაწეთა და ყოველივე შემოწირულება ეუწყება ქართველ საზოგადოებას გაზეთის საშუალებით.

სექციის მდივანი ი. ცინცაძე.
(3—მ—1)

ქართველ ქალთა
ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (**МѢТКИ**). ბარონის ქუჩა. № 12

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.
(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10-მდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ტფილისი, 30 ივლისს.

20 ივნისს უწმიდესმა სინოდმა დაამტკიცა საქართველოს საექსარხოსოს სამრევლო სკოლების ახალი პროგრამმა. ამ პროგრამმის დაბადების ისტორია შეიძლება ბევრს კარგად არა აქვს გათვალისწინებული. ამიტომ ამ ისტორიას მოკლედ გავაცნობთ „ივერიის“ მკითხველებს...

1899 წელს ქართლ-კახეთის საეპარქიო სასკოლო საბჭომ უწმიდესის სინოდის ბრძანებით შეადგინა კომისია საეკკლესიო სკოლებში სწავლის მასალის 4-ის წლისათვის გასანაწილებლად, რადგან სინოდმა გადასწყვიტა არა რუსთა სკოლებში შემოეღო ოთხის წლის კურსი სწავლებისა სამ წლიან კურსის მაგივრად. კომისიაში ქართლ-კახეთის მაშინდელ საეპარქიო მეთვალყურის ბ-ნ ნიკ. ტატიშვილის თავჯდომარეობით იყვნენ: ღვთის მეტყველების კანდიდატები მღვდელნი სერგი გოროდცევი, კალ. ცინცაძე და ტფილისის სასულიერო სემინარიაში და დედათა საეპარქიო სასწავლებელში ქართულის ენის და დიდაქტიკის მასწავლებელი ილია ფერაძე...

1901 წელს მაისში კომისიამ წარუდგინა თვის მიერ შემუშავებული პროგრამმა სწავლებისა საბჭოს განსახილველად... პროგრამმას აზრად ჰქონდა არსებობა ერთის ჯურის სკოლისა მთელს საქართველოს საექსარხოსოში, სადაც უნდა ყოფილიყო იგი, ქართლ-კახეთში, თუ სამეგრელო-სვანეთში; მცირეოდენის ცვლილების შემდეგ ამ პროგრამმით სწავლება შეიძლებოდა ყველგან, სადაც-კი ქართველ ტომის წარმომადგენელნი სცხოვრობენ და ქართული ენა თავისს მშობლიურ ენად მიაჩნიათ... ეს პროგრამმა ვრცელს ადგილს უთმობდა ქართულის ენის შესწავლას ყველგან და ფიქრად ჰქონდა ამასთანავე, რათა ქართველ ბავშვებს, როგორც რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომებს, საფუძვლიანად, შეგნებით მშობლიურის ენის დახმარებით შეესწავლათ სახელმწიფო ენაც, როგორც უსაჭიროესი საგანი მათის განვითარებისა და არსებობისათვის. სალმრთო-სჯული ამ პროგრამმით პირველ ორის წლის განმავლობაში მხოლოდ ქართულს ენაზე უნდა ესწავლებინათ ყოველგან, სადაც-კი ამ ენაზე ლაპარაკობენ და ღმერთს ადიდებენ. მესამე წელიწადს სალმრთო-სჯულის სწავლება ამ პროგრამმით უპირველეს ყოვლისა ქართულს ენაზე უნდა წარმოებულიყო და შემდეგ, შეძლებისადა გვარად, რუსულს ენაზე; მეოთხე წელს რუსულად. რაიცა შეეხება რუსულს ენას, ამ ენის სწავლება საქართველოს საექსარხოსოს ყველა სკოლებში უნდა წარმოებულიყო მშობლიურის ენის დახმარებით ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო წიგნებით. ქართული სალიტერატურო ენა ამ პროგრამმით უნდა ესწავლებინათ სკოლებში მთელის ოთხის წლის განმავლობაში იმავე გოგებაშვილის წიგნების: „დედა-ენის“ და „ბუნების კარი“-ს საშუალებით; ხუცურს კი ცოტა გაკვეთილები ჰქონდა დათმობილი. ამ ენაზედ განვითარება ბავშვებისათვის აუცილებელს საჭიროებად იყო მიჩნეული... ანგარიშიც პირველს ორს წელიწადს უნდა ესწავლებინათ სკოლებში დედაენაზე... და სხ...

ერთი სიტყვით, ეს პროგრამმა იყო მოშორებული ყოველსავე მრუდე აზრს, საფუძვლად ჰქონდა სალი პედაგოგიური შეხედულობანი, დამყარებულნი მტკიცე პედაგოგიურს საძირკველზე... საფუძვლად ის ჰქონდა, რომ ქართველი ერი ველური, კულტურას მოკლებული ერი არა, რომ მას აქვს თვისი, საკმაოდ მდიდარი, მწერლობა, დიდებული სახელოვანი წარსული, რომ მას სახელმწიფო კანონთა მფარველობის მეოხებით უფლება აქვს შეისწავლოს თვისი მშობლიური ენა, განვითარდეს ამ ენაზე, რომელზედაც არსებობდა თითქმის ყოველივე დარგი მეცნიერებისა და რომელზედაც თანამედროვე მეცნიერების ზოგიერთი ნაწარმოებნიც არიან გადმოთარგმნილნი...

მაგრამ მშობლიურის ენის საფუძვლიანად შესწავლა სრულიადაც ხელს არ შეუშლიდა, როგორც ჰფიქრობდნენ პროგრამმის შემდგენელნი, სახელმწიფო ენის საფუძვლიანად შესწავლას... რუსულის ენის შესწავლის უარმყოფელი საქართველოს არე-მარეზე არ არსებობს, და არც მოსალოდნელია, რომ არსებობდეს...

კომისიის მიერ შემუშავებულმა პროგრამმამ ბევრი ცვლილება გამოსცადა: ჯერ სასკოლო საბჭოში განხილულ და აქა-იქ შესწორებულ იქმნა, შემდეგ წარდგენილ იქმნა პეტერბურგში საბჭოს შენიშვნებით; შემდეგ კიდევ შესწორებულ იქმნა სიოლქო მეთვალყურის მიერ და ბოლოს დაიბადა ის პროგრამმა, რომელიც გამოქვეყნებულია „ცნობის ფურცელში“...

დარწმუნებული ვართ, რომ ზემოდ-დასახელებული კომისია ვერც-კი იცნობს თვისს პროგრამმას გამოქვეყნებულს პროგრამმაში, რომელსაც სამი სახე აქვს: წმინდა ქართული (ოსური, ბერძნული) სკოლისათვის, შერეული სკოლისათვის (რუს-ქართველები) და იმ სკოლისათვის, რომელშიაც სწავლობენ მწერლობის არ მქონე ერთა შვილები.

ჩვენ არას ვიტყვით ახალის პროგრამმის ავკარგიანობის შესახებ... ეს ავკარგიანობა მალე გამომჟღავნდება, როდესაც ამ პროგრამმით სკოლებში დაიწყებენ სწავლებას... ჩვენ მხოლოდ გვაფიქრებს სვე-ბედი ზნეობისა და სარწმუნოებისა სამეგრელო-სვანეთში. ამ ქვეყნების სკოლებში ახალ პროგრამმით მოსპობილ იქნება ქართული სალიტერატურო ენის სწავლება, იმ ენისა, რომელზედაც სრულდება აქ ღვთის-მსახურება, ქადაგება-მოძღვრება, თუ ქართული ღვთის მსახურების გულისთვის სამეგრელო-სვანეთში მისცემენ ნებას სკოლებში, როგორც ხმები ისმის, ხუცურის ენის სწავლებისას, ეს სრულიადაც არ კმარა მეგრულ-სვანთა ზნეობრივის განვითარებისათვის. ღვთის-მსახურების შესაგნებლად ხუცურის გარდა, ქართული სალიტერატურო ენის შესწავლაც არის საჭირო, ამას გარდა საჭიროა, რომ მრევლს, რომელიც ქართულად ისმენს წირვა-ლოცვას, ქართულადვე უქადაგოს მღვდელმა... სამეგრელოში განვითარებულიყო ძველად ქართული მწერლობა და ქართული საეკკლესიო მოძღვრება.. ვის უქადაგებდნენ წმინდა ქართულის ენით უკვდავნი ჭყონდიდლები?! ვის ესმოდა მათი ტკბილი ქართული ენა, თუ არ მეგრელებსა, რომელნიც ერთის კვირის განმავლობაში მშვენივრად სწავლობენ ქართულს ენასა... მეგრელის ერის განვითარება საეკკლესიო ნიადაგზე იმდენად დიადი საქმეა, რომ ამის გულისათვის არავინ არ უნდა დაუშალოს მას სალიტერატურო ქართულის შესწავლა, იმ ენისა, რომელიც დიდად დაეხმარება მის მიერ ქართულის ღვთის-მსახურების შეგნება შეთვისებას. .

სამეგრელო ზღვის-ნაპირას მდებარეობს; აქ ადვილად ვრცელდება ყოველივე სწავლა, რომელიც ეწინააღმდეგება ეკკლესიას. ეკკლესიის ინტერესების დასაცველად საჭიროა სწავლება სამეგრელოს საეკკლესიო სკოლებში

დამყარებულ იქმნას ეროვნულ-სარწმუნოებრივს ნიადაგზე... ასეთს ნიადაგზე დამყარებისათვის საჭიროა, რომ ამ სკოლებში ასწავლიდნენ ქართულს ენას იმავე პროგრამით, რა პროგრამითაც აქამომდე ასწავლიდნენ... მარტო ხუცურის ენის სწავლებით მეგრელ-სვანი სარწმუნოებრივს ნიადაგზე ვერ განვითარდება. ამ განვითარებისათვის, სხვათა შორის, ფრიად საჭიროა, რომ მოწაფეებმა იკითხონ ქართული წიგნები ზნეობრივის შინაარსისა სკოლებში და სკოლებიდან გამოსვლის შემდეგ. იმდენად ვერ შეითვისებენ მეგრელ-სვანთა ბავშვები რუსულს ენას ოთხის წლის განმავლობაში, რომ ამ ენაზე დაწერილი კარგის შინაარსის წიგნები თავისუფლად იკითხონ; იმათს კილოკავებზე მწერლობის განვითარება ყოვლად შეუძლებელია,—დარჩენიათ, ისევ ქართულს ენას მიჰმართონ, როგორც ენას „საღმრთოს“ და ამ „საღმრთო“ ენის დახმარებით განავითარონ თვისი ზნეობა, გრძნობა სარწმუნოებისა... მეგრელ-სვანები ისე მტკიცედ არიან დაკავშირებულნი საქართველოს მართლ-მადიდებელ საეკკლესიო ისტორიის ბედთან, ისეთის მტკიცე ძაფებით არიან გადაბმულნი დანარჩენ ქართველებთან, რომ მათ მიერ ქართულის ენის შეუსწავლელობა წარმოუდგენელია სკოლის გარეშე მაინც და, თუ ეს ასეა, ისევ ისა სჯობია, ეს ენა მთავრობის დაარსებულს სკოლებში შეისწავლონ მთავრობის მიერვე მოწონებულის ქართულ წიგნებით, ვინემ შემთხვევით ხელში აღებულის და, ვინ იცის, როგორის შინაარსის, წიგნებითა...

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ახალი პროგრამა საქართველოს საექსარხოსო საეკკლესიო სკოლებისა სამუდამო და საბოლოო არაა,—რომ იგი შეიძლება შესწორებულ იქმნას ახლო მომავალში გონივრულის გამოცდილების და ბეჯითის დაკვირვების ჩვენებით და აქაურ თავისებურობისა და განმასხვავებელ ვითარების მიხედვით.

ტფილისი

✦ † გუშინწინ, 31 ივლისს, მოუკლავთ თოფით გორის მაზრაში სოფ. ხოვლეს ზემოდ მომრიგებელი შუა კაცი თავ. სვ. ვეზირიშვილი. განსვენებული იქვე გარდაცვლილა, რადგან თოფი ახლოდგან უსროლია ტყეში ჩასაფრებულს ბოროტ-მოქმედს. მკვლელი ვერ შეუპყრიათ და არც იციან, ვინ უნდა იყოს. თ. ვეზირიშვილი წასულა ჯავახიშვილების მამულებში ხიზნების გადასახიზნველად თავიანთ მამულებიდგან. ვეზირიშვილი წასულა ამ საქმის შესასრულებლად მომრიგებელ შუაკაცის თ. გ. თარხნიშვილის მაგიერ, რომელსაც ამ დროს სხვა საქმე ჰქონდა მინდობილი მთავრობისაგან. თ. სვ. ვეზირიშვილს თან რამდენიმე ყაზახი ჰყვანდა, მაგრამ ეტყობა იმათაც ვერა უშველიათ-რა. განსვენებული განათლებული კაცი იყო, სააგრონომიო მაღალ სასწავლებელში კურს-დამთავრებული. რამდენიმე ვრცელი მისი წერილი დაიბეჭდა სააგრონომო შინაარსისა სხვა-და-სხვა დროს ჩვენს გაზეთშიაც. ამისთანა კაცის სიკვდილი და ისიც მაშინ, როდესაც იგი ჯერ ისევ ჯან-ღონით სავსე იყო, დიდი დასაკლისია ჩვენის რიცხვ-მცირე ინტელიგენციისათვის. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

✦ გუშინ, 1 აგვისტოს, მისმა ყ-დ უსამღვდელოესობამ, ალავერდის ეპისკოპოზმა დიმიტრიმ, შეასრულა საღმრთო ლიტურღია ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, და წირვის შემდეგ ქალაქის სამღვდელოებითურთ გამართა ლიტანიით ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილში, სადაც განმზადებულ აუზში აკურთხა წყალი მოსაგონებლად იმ ამბისა, რომ ამ დღეს კონსტანტინეპოლში გამოჰქონდათ სამეფო პალატიდან ნაწილი ჯვარ-პატიოსნისა სოფიის ტაძარში.

✦ ტფილისის საბოტანიკო ბაღმა დაჰბეჭდა სია იმ ხეხილისა და სადეკორაციო ბუჩქების ხეებისა, რომელსაც გაჰყიდის ეს ბაღი ამ წლის შემოდგომასა და მერმის გაზაფხულზე.

✦ საგუბერნიო კომიტეტს თვისნი მოსაზრებანი სასოფლო მეურნეობის საჭიროებათათვის უნდა წარედგინათ სადაც ჯერ არს. ამ წლის 15 ოკტომბრისათვის. ეხლა ეს ვადა უმაღლესის ბრძანებისამებრ გადაიდო 1903 წლის 1 თებერვლამდე.

✦ ჩვენ მოგვივიდა ერთ წიგნად დაბეჭდილი აგვისტოსა და სექტემბრის ნომრები ყოველთვიურის ჟურნალის „Кавк. Вѣст.“-ისა. ამ წიგნში მოთავსებულია, სხვათა შორის, რუსული თარგმანი რაფ. ერისთავის ლექსისა „დედა-ენა“ ს. ა—სი, მოთხრობა დ. ვედრემისელისა „Гости“ და „Азіатская Академія“, შენიშვნები პროფ. ხახანაშვილისა კერის პროექტის შესახებ და სხ.

✦ სოფელ ციხის ძირში (შავის ზღვის პირად) განსაკუთრებულმა კომისიამ 75 დესიატინამდე სახაზინო მიწა დაჰყო ნაჭერ-ნაჭერად და დაამზადა გასაცემად. კომისიას 300 კაცამდე მიჰმართა და სთხოვა იჯარით მიწა, მაგრამ ამ 300 კაციდან მიწა დაეთმო მხოლოდ ოთხს: ტფილისის კომენდანტს ბ-ნ რეიტერს, ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს ლინდენს, ექიმ გადომსკის და საბოტანიკო ბაღის გამგეს ბ-ნ როლლოვს. ზემოდ მოხსენებული 300 კაცი ტფილისის გუბერნიის მცხოვრები იყო. ადგილები სხვა გუბერნიის მცხოვრებთაც უთხოვნიათ.

✦ კავკასიის გზათა ოლქმა წარადგინა სამინისტროში პროექტი, გეგმა და ხარჯთაღრიცხვა ახალის გზა-ტკეცილისა, რომელიც უნდა გაიყვანონ სოჭასა და ნოვოროსიისკის შუა. როგორც გამოანგარიშებულია, ამ გზის გაყვანა დაჯდება 600,000 მანეთად.

✦ ტფილისის ხელოსანთა მოურავმა ამ დღეებში გაუგზავნა ყველა უფროს უსტაბაშს ქაღალდი და სთხოვა, მოახდინონ, ხუთის დღის განმავლობაში, ყველა ხუთ ოსტატზედ ერთი დეპუტატის ამორჩევა, მათ სამაგიეროდ, რომელთაც უთავდებათ სამის წლის დეპუტატობის ვადა და ამორჩეულ დეპუტატთა სია წარმომადგინეთ დასამტკიცებლადაო; გარდა ამისა, ხელოსანთა მოურავი სთხოვს უსტაბაშებს, წარუდგინონ დაწვრილებითი სია, რამდენია თვითოეულ საუსტაბაშოში ოსტატი, ქარგალი და შეგირდი. ვინც სიების შედგენაში რაიმე სიყალბეს ჩაიდენს, იგი პასუხის გებაში იქნება მიცემულიო.

✦ ტფილისის ქალაქის ხელოსანთა მოურავს ამ დღეებში პოლიცმეისტრისაგან მოსვლია ქაღალდი, რომ სახელოსნო გამგეობამ ებრაელს, სოლომონ იოსების ძეს იაკუბოვიჩს მისცეს მოწმობა, რომლითაც შეეძლოს რაიმე სახელოსნო დუქნის გამართვაო. ამაზედ ხელოსანთა მოურავმა მიჰმართა ტფილისის გუბერნატორს შემდეგის ქაღალდით: პოლიცმეისტრისაგან გვაქვს ნაბრძანები, ნება არა გაქვთ ებრაელს მისცეთ რაიმე მოწმობაო, რომ არ ისარგებლონ ამ მოწმობით სხვა-და-სხვა სავაჭრო აღებ-მიცემობაშიო. ამ ახალმა ბრძანებამ გამგეობა გაჭირვებაში ჩააგდო. გამგეობამ არ იცის რა ჰქმნას. ამიტომ გთხოვთ შეგვატყობინოთ ოფიციალურად, შეუძლიან ხელოსანთა გამგეობას მისცეს რომელსამე ებრაელს ამისთანა მოწმობა, თუ არაო.

✦ ტფილისის სასანიტარო-სამკურნალოს ინსპექტორმა წარუდგინა ტფილისის გამგეობას ექიმის გედალინისაგან შემდგარი ოქმი, ჰადჯი-აზიზა-იმამოვზედ, ლეიბა პოლაკზედ და გრიგოლ მურადოვზედ, რომელნიც პასუხ-გებაში უნდა იქმნენ მიცემულნი უვარგის ფქვილის შენახვისათვის მათს საწყობებში. ამ სამთ აღმოსჩენიათ 226 ტომარა უვარგისი დამძაღებული ფქვილი.

✦ ტფილისის სასანიტარო-სამკურნალოს ინსპექტორმავე წარუდგინა გამგეობას ოთხი ოქმი, შემდგარი საბჭოს ექიმებისაგან ყარუმოვისა და გძელიშვილისაგან, ფუკელმანზედ, ავერბუხ ფურაევზედ, მოსე ოზერიანსკიზედ, ლაზარე ბროდსკიზედ და ი. და ა. კოგონებზედ, რომელნიც პასუხ-გებაში უნდა იქმნენ მიცემულნი წამხდარ ფქვილის გაყიდვისათვის. ამათ რკინის გზის საწყობ სადგურზედ 555 ტომარა უვარგისი ფქვილი აღმოაჩნდათ გასასყიდათ დამზადებული.

✦ ნიჟეგოროდის პოლკმა სთხოვა სამხედრო მინისტრს, პოლკში მოსამსახურეთ და რაზმის ცხენებს აუცილებლად ესაჭიროებათ დასალევი წყალი და საშუალება აღმოგვიჩინეთო. მოახსენა-რა სამხედრო მინისტრმა მათ იმპერატორებითს უდიდებულესობას ეს ამბავი, ხელმწიფემ ბრძანა: სამხედრო მინისტრის კანცელარიის თანხიდგან მიეცეს პოლკს ფული მაგ საქმისთვისაო?

მიიღო რა ეს ცნობა მინისტრისაგან, კავკასიის სამხედრო ინჟენერთა უფროსმა, მიჰმართა ქალაქის გამგეობას: შეუძლიან ქალაქმა წელიწადში 781.000 ვედრა წყალი დაუთმოს ნიჟეგოროდის პოლკს 1/8 კაპეიკობაზედ ვედრო, როგორც ეს დაადგინა ქალაქის საბჭომ 25 ნოემბრის 1896 წელსაო?

✦ 31 ივლისს მოჰხდა კრება მეშჩანთა რწმუნებულებისა. კრებაზედ განიხილეს სტაროსტას და მის თანაშემწეების ინსტრუქცია ფულის მოკრეფის შესახებ. ბევრისათვის ეს ინსტრუქცია გაუგებარი დარჩა, რადგანაც რუსულად იყო შედგენილი. ამიტომ კრებამ გარდასწყვიტა: დაიბეჭდოს ინსტრუქცია ქართულად, სომხურად და რუსულად, დაურიგდეს რწმუნებულთ და შემდეგ იქმნას განხილულიო; გარდასწყვიტეს კრება ორის კვირის შემდეგ დაინიშნოს. ბ-ნ აფრიამოვის წინადადება, სარევიზიო კომისიის დანიშვნის შესახებ, არ იქნა შეწყნარებული.

✦ რკინის გზის უსახელო საზოგადოების რწმუნებულმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას ჩეკი 150.000 მან. იმ 600.000 მანეთის რიცხვში ჩასარიცხათ, რომელიც ქალაქმა უნდა აიღოს ზემოხსენებულ საზოგადოებისაგან ქუჩების განსაკარგებლად და უკეთ მოსაწყობად.

✦ გუშინ მოჰხდა ტირაჟი ქალაქის მე-3-მე სესხისა სულ 8,600 მან.

✦ როგორც იყო, გუშინ უკვე მოასწრეს ხელის მოწერა ქალაქის გამგეობის წევრებმა ელექტრონით მავალ ვაგონების პროექტზედ და გუშინვე წარედგინა საგუბერნიო მმართველობას განსახილველად.

✦ ქალაქის უსახელო საზოგადოების უფროსი წარმომადგენელი რაგოლერი, დაეთხოვა სამსახურიდგან ერთის თვის ვადით და გუშინვე გაემგზავრა საზღვარ გარედ; მის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა მისი უფროსი თანაშემწე ბ-ნი გერმანიუსი.

✦ ვაუწყებთ ხელ-მეორედ მკითხველებს, რომ იმ თავად-აზნაურთა შვილებისთვის, რომლებიც 1902—1903 წლის განმავლობაში უნდა იქმნან მიღებულნი სახელმწიფო ხარჯზედ კადეტთა კორპუსებში, გამოცდა დანიშნულია ტფილისისა და კავკავის კორპუსებში 26 აგვისტოსათვის.

✦ პოდპოლკოვნიკის ქუთათელაძის ობოლი ქალი, ნინო, მიუღიათ სახელმწიფო ხარჯით პეტერბურგის იმპერატ. ნიკოლოზ 1-ის სახელობაზედ არსებულ დედათა ინსტიტუტში.

✦ 5 თვის განმავლობაში, იანვრიდან დაწყებული, ბათუმიდან გაუტანიათ 30 მილიონი ფუთი ნავთი.

✦ ძალიან უსუფთაოდ არის ის ადგილი ელისაბედის ქუჩისა, რომელიც იწყება იქ, სადაც დგება ხოლმე ავჭალის ცხენის რკინის გზის ვაგონები. ამ ადგილას, ელისაბედის ქუჩის აქეთ-იქით კუთხეებში ლუდხანის დუქნებია, ერთი ლუდხანის კარები ელისაბედის ქუჩაზედ გამოდის. ამ ლუდხანებიდამ გამოდის ურიცხვი ლუდით ჩაბრუჟებული ხალხი და აქვე მიდგებიან ხოლმე ფეხის-ადგილად, ადამიანს შეჰზარავს ლუდხანის მიდამოს ნახვა; ახლა ცოტა არ იყოს, მეეზოვეთა წყალობით, თავი შეიკავეს და ისე აღარ ბილწავენ ქუჩას, როგორც უწინ, მაგრამ მაინც საჭიროა რომ ყურადღება მიექცეს. მერე ეს ადგილი ძალიან თვალსაჩინოა, აუარებელი ხალხი დაიარება და მუდამ სიბილწის ხილვა ვისთვის რა სასიამოვნოა. იმედია რომ ყურადღებას მიაქცევენ ამ გარემოებას ისინი, ვისიც ჯერ არს.

✦ მესამე განყოფილების სავაჭროთა ზედამხედველი ტერ-სიმონიანცი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ ნაძალადევში, ნორიოს აღმართზედ, ბ-ნმა რაზმაძემ ქალაქის ადგილი დაიჭირა. საჭიროა გამგეობამ რაიმე განკარგულება მოახდინოსო.

ჩვენებური ამბები

ქუთაისი. მიტროფანე ლაღიძის საყინულე და ხელოვნურ სასმელ წყლების ახალმა ქარხანამ 22 ამ თვეს უკვე დაიწყო ბროლივით სუფთა ყინულის მზადება. მისი ქარხნის ყინული გირვანქა 3 კაპ. იყიდება 2 გირვანქის მყიდველს 5 კაპ. ეთმობა ყინული და 1 ფუთი 50 კაპ. ერთბაშათ ბევრს თუ წაიღებს. დღემდე აქ ყინული სხვების ქარხნებში 5 კაპ. იყიდებოდა და ახალი კონკურენტის წყალობით-კი ვნახოთ რა იქნება. დაწვრილებით ამ ქარხნის შესახებ მერე მოველაპარაკებით მკითხველს.

არქიელის გორაზედ გაცხარებული მუშაობაა მილის წყლის უმთავრეს აუზის გასაკეთებლად. მუშები მახლობელ სოფლებიდგან (ჯიმასტაროდგან და სხ.) ხარ-ურმებით ეზიდებიან ვინ სილას, ვინ კირს, წყალს, ცემენტს, ხე-ტყეს და სხვას. ქუთათურებს ახლა-კი იმედი მოგვეცა, რომ ახლო მომავალში რიონის სილა-წყალი ბროლივით ანკარა წყალზე შეგვეცვლება, სწორედ ისე, როგორც კოკოჩევ-ხაინდრავა და აბზიანიძის მტვერ-ნეხვ ნარევი ყინული ლაღიძის „ბროლივით სუფთა“ ყინულზე შევვეცვალა 29 ივლისს და ამ გვარიან სიცხეში ყელს იმით ვიგრილებთ ქუთათურები: სადილობის დროს ღვინოს უიმისოდ არ გიახლებით და შუადღესა და საღამოობით-კი მიტროფანესავე ხელოვნურ გემრიელ წყლებს ამავე ყინვით გაციებულს მივირთმევთ. ამნაირად ქუთაისიდგან საგარაკოდ გადახვეწილთ კი აქეთ შემოსანატრი ჩვენ, აქ დარჩენილთათვის და, უეჭველია, მალე გამოეშურებიან აქეთკენ.

ისო.

სოფელი დიდი-ჯიხაიში და მისი კულტურული ზრდა. ამ სახელწოდების მატარებელი ქვემო იმერეთში, სამტრედიასა და ხონს შუა, ერთი დიდი საზოგადოებაა, რომლის კულტურულ ზრდას თვალსაჩინო წარმატება ეტყობა. აქაურ საზოგადოებას, გარდა ორ-გვარ განმანათლებელ დაწესებულებისა: 1) **ორკლასიან სამინისტრო სკოლის** სამეურნეო განყოფილებით, რომლის ბაღს მომვლელის ხელი გვარიანად დაჩნევია, 2) არის აქ თუმცა ჯერ წელწამოუმაგრებელი **ბიბლიოთეკა-სამკითხველოც**,—აქვთ ამათ აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებაც. ეს არის **შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის ბანკი**, რომელსაც დღემდე 650 წევრი ჰყავს და 200,000 მანეთამდე ფულს ატრიალებს სოფლებში. აქვე, შუაგულ სოფელში აქვთ ჯიხაიშლებს, გარდა დუქნებისა, **ფარდულები იარმუკის მაგვარ ვაჭრობისათვის** და მართვენ **კვირაში ორჯერ (ოთხშაბათსა და კვირას) ბაზრობას**, სადაც მახლობელ სოფლებიდგან, ხონ-სამტრედიისა და ქუთაისიდგან შემოაქვთ სხვა-და-სხვა სოფლური ნაწარმოები.

მეაბრეშუმეობას გარდა, რომელსაც აქაც ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ხალხის ეკონომიურს ცხოვრებაში, აქაურები **ბამბის მრეწველობასაც** რიგზე ეწევიან, რასაც შუაგულ სოფელში **ბამბის საწმენდ ქარხნის მანქანის** გაჩენაც მოწმობს. თქმა არ უნდა ამ უკანასკნელის არსებობა, სააბრეშუმო ქარხნის და ფარდულების მსგავსად, იმასაც ჰმოწმობს, თუ კერძო კაცმა როგორ ირგოს „ლომის ხვედრი“ დღევანდელს ეკონომიურს ბრძოლაში, როგორ გაისქელოს ჯიბე ხალხის ნაოფლარით.

კარგის გზების წყალობით ჯიხაიშლები **მიმოსვლის მხრითაც** არ არიან ბედისაგან დაჩაგრულნი, როგორც ეს იმერეთის მრავალ სოფლებშია, განსაკუთრებით მისს მთა-გორიან ნაწილში. რკინის გზის მიმართულება, ინჟენრების წყალობით, თავდაპირველადვე ასცდა მეტად დასახლებულ სოფლებს და მათ შორის უმთავრესად დიდ-ჯიხაიშს. მაინც კიდევ მაზედ აქაურები 5—10 ვერსით არიან დაშორებულნი და აქაურ მცხოვრების ჩვენის მოღვაწის ნ. ნიკოლაძის მეოხებით იანეთში პლატფორმის (რომელსაც მეორე სახელწოდება ნიკოლაძისა აქვს) დაარსებით ისინი კიდევ უფრო დაუახლოვდნენ სტეფენსონის სახელის უკვდავ-მყოფელს ძალას ცივილიზაციისას—რკინის გზას. ამ ლიანდაგის მიყოლ-მოყოლ, საიდანაც უნდა დაიძრათ, ეტლი ყოველ მოსახლის სახლამდე მიგიყვანთ 25 კაპ. და, თუ თავადიშვილურ ან აზნაურიშვილურ მოგზაურობას ნაჩვევი ხართ, და დაკონკილ გლეხის გვერდით გეუკადრისებათ მოგზაურობა,—მაშინ აქაურ ფულის გამო გაღებულ მეეტლეებს 50 კ. ან ერთი მანათიც რომ აჩუქოთ, იგი მაინც თავს მოიკატუნებს და „ეს ცოტაა ბატონოვო“ გეტყვის და სირცხვილ-ნამუსში ჩაგდებულს კიდევ წაგამატებინებს რამდენსამე აბაზს თუ არა, შაურს მაინც ნიხრზე, რომელსაც აქ ჩვეულება და კონკურენცია ჰქმნის.

დღემდე ჯიხაიშლებს, მართალია, საავადმყოფო და ექიმი არ ყოლიათ, მაგრამ „**ლათინთა სამზარეულოს**“, **აფთიაქის** გახსნა კერძო კაცს აქ ხელსაყრელად დაუნახავს, და ეს ხალხის ჯიბის სრულიად არ დამზოგავი, დამაცალიერებელ-მონოპოლური დაწესებულება, გაუმართავს. რასაკვირველია, დღემდე უკონკურენციოდ იყო ამისი პატრონი და, როგორც უნდოდა, ისე განაგებდა სოფლელების ჯიბეს. დღეს-კი იგი ქსენონის და შიგ აფთიაქის დაარსების გამო ძალიან ყურებ ჩამოყრილია და, რა თქმა უნდა, თვისი მოქიშპის სახელის გატეხას და მით მის მოსპობას ცდილობს. ამ გვარ ცდის ქომაგები, სოფლად კეთილი საქმის ხელის შემშლელები ხომ მუდამ არ გამოილევა და მისი ამფსონები დღეს ქსენონს, ვინ იცის, რას არ სწამებენ.

ჯიხაიშს მეურნეობაშიაც ეტყობა კულტურული ზრდა, რასაც ხელს უწყობს აგრედვე რკინის გზის სიახლოვე. ჯიხაიშელი და მის მახლობელ სოფლების გლეხები ამ სიახლოვით ძალიან სარგებლობენ თავიანთ მეურნეობაში. ისინი აქ ბევრ სხვა-და-სხვანაირ ნარეწს ასაღებენ სოფლის მეურნეობისას, მაგალითად ხილეულობას, რომელსაც აქ ყოველი ოჯახი მისდევს: ქათმებს, კვერცხებს, ნაქსოვებს და სხ. ზოგიერთ დიდ მემამულეებსაც ღვთის ანაბარად არ დაუგდიათ აქ თავიანთი მამა-პაპის ნაანდერძევი მამულები და ევროპიულ წარმოების ხასიათს აძლევენ, მარტო საბაღოსნოების და ტყის, რომელიც ამ სოფლებში უკვე ისპობა, მოჭრით აღარ კმაყოფილდებიან, ერთი ამგვარ გაკულტუროსნებულთაგანია ნიკო ნიკოლაძის შუაგულ სოფელში მდებარე დიდი მამული, რომლისათვისაც პატრონს ევროპიული სახე მიუცია. მეურნეობას აქ ხელს უწყობს წყლის არხები, რომელშიაც მუდამ არის სარწყავი წყალი და რომელიც ნ. ნიკოლაძის მეცადინეობითვეა აქ გამოყვანილი. ეს არხები თითქმის ყოველს მოსახლეს ჩაუდის გვერდით და მცენარეულობის ზრდას ძალიან უწყობს ხელს.

ყოველსავე ამაებს და სხვას, ჩვენგან აქ აღუნიშნველ უპირატესობებს, ქალაქელთა საფუფუნო საგანს **ფოტოგრაფიას**, რომელიც აქ დღეს გაუხსნიათ, თუ დავუმატებთ, ჯიხაიშლებზე შეგვიძლია ვთქვათ რუსები რომ იტყვიან, „живутъ на широкой ногѣ“-ო. როგორც სჩანს, ფოტოგრაფსაც-კი უპოვნია აქ თავისი ხელობისათვის ბაზარი და ეს საქმეც ხომ ერთგვარი საზომია ხალხის კულტურულ ცხოვრებისა. ჰოტენტოტები ამას რას დაგიდევენ!..

ყოველივე ეს კარგი და კეთილიო, იტყვის **მკითხველი: ვხედავთ ჯიხაიშლები ასე დასწაფებიან** წარმატების, თუ „სიცოცხლის წყაროსაო“, მაგრამ რაღაა მათი სოფლური ცხოვრების ნაკლიო? ნუ თუ ისინი, ყოველ ამ კულტურულ დაწესებულებათა პატრონნი, მუდამ ბედნიერად გრძნობენ თავს და სამდურავი არავისი აქვთო? რასაკვირველია, ყოვლად ბედნიერნი დედა-მიწის ზურგზე ჩვენზე გაცილებით კულტურულ ცხოვრებაში მყოფი ხალხიც არ გვეგულება, თორემ ფაზისის მიყოლ-მოყოლა მცხოვრებთ როგორ წარმოვიდგენთ. ეს სამოთხისებური პოეტური იდილია (ოცნება) იქნებოდა და საამისოდ ჩვენის ტვინის ძაფებიც არაა მომართული, რეალური ცხოვრებაც რომ ამის საბუთს გვაძლევდეს.

(დასასრული იქნება)

გუდაუთი (აფხაზეთი) არის ერთად-ერთი დაბა, მაგრამ მშვენიერი დაბა. სილამაზითა და შემკობილობით მისთანა ადგილს თითქმის ვერ ნახავთ შავის ზღვის პირად. სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან აქ მოდიან საზაფხულოდ. ბევრმა საკუთრადაც შეიძინა მამულები. აქაური ბულვარი, ზღვის გამცქერალი, სწორედ სანახავად ღირს. ალვის ხეები, ნაირ-ნაირი ნერგები მასს სილამაზეს უფრო მეტს შნოს ჰმატებს. კიდევ ბევრი ხალხი მოაწყდებოდა ამ დაბას, თუ სახლები რიგიანი ჰქონოდა. სამწუხაროდ აშენების ნებასაც არ აძლევენ... პეტერბურგელ და მოსკოველ დიდკაცობამ შეიძინეს ბევრი მიწა, ეწყობიან და შენდებიან. აფხაზთა სოფლებიდგან შემოდის ორი გზა. აფხაზს თუ რამე გააჩნია, აქ მოაქვს გასასყიდად. ამ გზებზე ვაჭრობენ თათრები და ერთი მეგრელი. ისინი ყიდულობენ სოფლელებისაგან ყველაფერს და მერე ცეცხლის ფასად ასაღებენ. იმ მოვაჭრეებს რომ აღუკრძალავდნენ ვაჭრობას, მაშინ სანოვაგე ცოტა გაგვიაფდებოდა. ამის შესახებ გუდაუთის მამასახლისმა უკვე მოხსენება გაუგზავნა გუბერნატორს.

მ. დგებუაძე.

სომხეთი

მისი მე მითხრა,
გული მომიკლა.

მოგეხსენებათ, „კარს“ რუსულის გაზეთის რედაქტორმა ბ. კანდელევმა დაბეჭდა რუსულად წიგნი, რომელსაც უწოდა „ოჩერკი ზაკავკაზსკოი ჟიზნი“. წიგნს საგნად დაუდო მისი გამორკვევა, თუ რა თვალით უყურებს ერთმანერთს ესა, თუ ის ხალხი, რომელიც აქეთა კავკასიაში სცხოვრებს და ყველას იმათ კიდევ როგორ უყურებს მობატონე ხალხი რუსეთისა. საკვირველია, რომ ამ ხალხებში ყველა გულ-დაკლებით არის სომეხზე და, ასე იანგარიშეთ, ის სომხიც-კი, რომელსაც ალაპარაკებს ბ. კანდელევი, ავად იხსენიებს ტფილისის სომხებს და ქახის ვაჭრუკებს. სომხის ავტორმა, რომელმაც თავი დამალა და თავისი ვინაობა მხოლოდ სომხურის ანბანის „დიუნ“ ასოთი აუწყა ჰაიასტანს, „მშაკ“ გაზეთის ამა წლის ივლისის 14 და 21 დღის ნომრებში დაბეჭდა ბ. კანდელევის წიგნის პასუხად ვრცელი წერილი, რომლის დასასრულს აქვე მოვიყვანთ თარგმნილს, რადგანაც იგი უფრო საინტერესოა.

„გასულ კვირასაო, ბრძანებს ავტორი, ჩემს წინასიტყვაობაში გაგაცანით, ბატონო მკითხველო, ის ჯადო-რეცეპტი, რომელმაც ნამდვილ, სახილველ, უეჭველ სამოთხედ უნდა გადააქციოს ჩვენი ქვეყანა. თათრის ურდოთა ჩამომავალ თურქს (ოსმალოს), ზარმაცსა და გართობის მოყვარე ქართველს დაუწერიათ იმ რეცეპტზე: „სიკვდილი და აოხრება სომხებსაო“... როცა იმ ოთხ სიტყვა წარწერილი ქაღალდის ნახევი ჩვენთან მოაქვთ, ჩვენ გვეცინება. ვიცით, თუ რა ცუდად კეხირებით თვალში ჩვენს მეზობლებსა, როცა ქართველი თავის მამულს უგირავებს სომხის მოვახშეს და მამა-სისხლის სარგებლით აღებულ ფულს ორიოდე დღეში ქარს ატანს ვერის ბაღებში და შემდეგ უსახლ-კარო რჩება, გვესმის, რომ უნდა ძულდეს სომხის მოვახშე, ჯოჯოხეთის კერძად უნდა გახადოს იგი. საწყალს ის-კი არ აწუხებს, რომ თვითონ არ იცის ზომიერად ცხოვრება, არ იცის თავისი მამულის მოვლა, მისგან გამდიდრება, კიდევ ის, რომ ქვეყანაზეა ერთი წურბელა, რომელსაც ეწოდება სომხის მოვახშე. უმწეო ბავშვივით ტირის, მის ნაცვლად რომ ჭაბუკივით იბრძოლოს. არ გაეგება, რომ თავისის ზარმაცობით და განცხრომა-ფუფუნების მოყვარეობით ბადებს, აცხოვრებს მოვახშეს, რომ მოვახშეს შიმშილისაგან სული გაუვარდება, საზოგადოება რომ მომზადებული იყოს. არა, ასეთი საქმეები მას არ აფიქრებს, იგი მხოლოდ გულში იცემს, სომხის მოვახშე არიო.

ოსმალოსაც აქვს მიზეზი, სომეხზე გულდაკლებით იყვეს. იგი ხედავს, რომ მისი გუშინდელი მონა, ის უენო ქმნილება, რომლისათვისაც თვითონ იგი ქვეყნის სასჯელი იყო გუშინ, დღეს ცდილობს თავი მაღლა დაიჭიროს, თავისი სიმართლე გაიგოს. გუშინდელი სახელოვანი ბატონი თავისი ბედითის უძრაობის მიზეზით უკან ჩამორჩენილა, უბედურია, უწმინდური და ფანატიკოსი, იმასობაში-კი მონა ცდილობს დაწინაურდეს, საქმობს, სარბიელს არ აძლევს მშვიდობიანის მოცილეობის გეზზე...

დიახ, გვესმის, ვინ არიან, ჩვენთვის რომ სავლილი და ახირება ნებავსთ.

მაგრამ როგორ გავიგოთ, რომ უცხო ვინმე, სრულიად უცხო კაცი, მაგალითად, გერმანელი, ჩვენს ქვეყანაში ნამყოფი, იმნაირადვე მსჯელობს ჩვენ შესახებ.

ვსთქვათ, რომ გერმანელიც წინასწარ ფიქრიანობს ჩვენდა მომართ, სამეზობლო ანგარიშები აქვს ჩვენთანაო, უგუნურება იქმნება. ეგერ ფონ მასოვმაც დაბეჭდა წიგნი*), რომელიც კარგად მიიღო მწერლობამ, როგორც ერთი რამ ღირებული სერიოზი გამონაკვლევი. ავტორს უმგზავრნია ჩვენს ქვეყანაში, მრავალი წლიწადი მოუნდომებია გამოკვლევისათვის. მაგრამ სომხების შესახებ მაინც ისეთ მოწმობას იძლევა, რომ აღტაცებაში მოიყვანს ისეთ ნაფიც სომხი-ჭამიებს, როგორნიც არიან ველიჩკო, სუვორინი, გრინგმუტი...

რად არის ასე?

ჩვენ გვხედვენ, მაგრამ ჩვენი-კი არ ესმისთ. სხვა მიზეზი ვერ მიპოვნია.

დიახ, ნაკლი გვაქვს და მსხვილი ნაკლიც. ვინ გვამხილებს ჩვენს ბიწიერებას? ფონ მასოვზედ ასჯერ უფრო კარგად ვხედავთ ჩვენს თავს, მას გარდა ის უპირატესობაც გვაქვს ფონ მასოვის წინაშე, რომ პირადად ვიწვით, ვიდაგვით ჩვენს ბიწიერებაში, ვხედავთ ყოველ დღეს ჩვენს უბედურებას, ვხედავთ მის ბუნებრივ მიზეზებს, ვხედავთ, რომ ჩვენი იარები გვწამს, მაგრამ მაინც იმედს არ ვიწყვეტთ, სასოებას არ ვკარგავთ, სამარცხვინოდ არ მიგვაჩნია ჩვენი ვინაობა, ჩვენი სომხობა. ყოველ დღეს, ყოველ ჟამს შემგნები და მგრძნობელი ჩვენის უგვანის ნაკლულოვანებისა, ჩვენის თავისთვის სასახელოდ მივიჩნევთ სომხად დაგრჩეთ, სომეხს გვეძახოდეს.

რათა?

მარტო დღეს არ გვიცვნია თავი. მარტო ისკა არ ვიცით, სად ვართ შემდგარნი, არამედ ისიც ვიცით, თუ საიდგანაც მოვდივართ.

ჩვენ მოვდივართ საზარელი, უმაგალითო ნამყოდან. გრიგორ არწრუნი ერთ-ერთ თავის ფელეტონში სომხეთს ადარებს მეძავ დედაკაცს. რაფფი თავისს „დავით ბეგში“ იმავ მსგავსების წამომყენებელი კითხვას ჰყოფს, ვის იტყვი, არ წოლილიყოს იმ მეძავთან, ვის იტყვი, არ წაებილწოს იგიო. თვით ნამდვილი უდაბნოს ცხვირპაჭუა და გონჯი მკვიდრიც-კი გადახვევია იმ მეძავს, შეხებია მის ტანსა, თავისი ნაკოცნი დაუჩნევია მისთვის. ეს ადვირ-ახსნილი, დაუბრკოლებელი მეძაობა ათას წლობით გრძელდებოდა. ერთი წლით, ათი წლით არ ყოფილა გამწიკვლიანებული, წაბილწული ჩვენი სარეცელი, არამედ საუკუნეებით, ათ-ათ საუკუნით. გაჭირვების წყვდიადში ჩავარდნილი მეძავი უდრტვინველად, წინაალუდგომელად იცვლიდა საყვარლებს. ერთი მეორეს მოსდევდა, რათა ადგილი მიეცა სხვისთვის. ასე ბოლო მოუღებლივ... სისხლი გაგვიფუჭდა, წაგვებილწა, პირისახეზედ სირცხვილის ნასახიც აღარ შეგვრჩა. ყოველგნით გამურდღული, სახე—უმწეოდ დაცემული მეძავი... გინახავთ ასეთი ათასწლოვანი უბედურება...

ჩვენ არ ვტრაბახობთ, რომ ასეთი ვყოფილვართ. რა სატრაბახოა, საუკუნეებით განუწყვეტელი მეძაობა. გვიკვირს მხოლოდ, რომ თქვენ არ გესმისთ, თუ ასე რათა ვართ, არ გესმისთ, თუ სხვაფრივადაც არ შეგვეძლო ყოფნა...

საზარელს ისტორიას დავუნაწევრებივართ, დაგვმახინჯებივართ და თქვენ-კი ჯერ მსჯელობას მოჰკლებიხართ. ვის გვადარებთ: გერმანელს, ფრანგს, თუ ინგლისელს. ათასეულ წელთა განმავლობაში თავზე ხედავდა მხოლოდ ბრწყინვალე ხმალს და არ წახდა. არ წახდა, როცა ევროპელს ასეთი რისხვა არ უნახავს და არც ანგელოსია, არამედ კაცი თავისის ნაკლულოვანებითა და ღირსებით. არ წახდა, როცა ევროპამ ერთხელ ნახა ჰუნთა შემოსევა და დღევანდლამდე შიშის ზარით იგონებს, მაშინ, როცა ჩვენ ათი-ათასჯერ შემოგვესივნენ ჰუნები, ერთ მუჭა უბედურ ხალხს, მიმოფანტულს, უიარაღოს, უმწეოს, დღე და ღამ მოზღვავებულ მტერთაგან განწირულს.

თქვენ გიკვირსთ, ჩვენ როდი გვიკვირს, რადგანაც არ იცით, ჩვენ-კი მხრით ვატარებთ იმ ნამოს ერთიან ნადველს. თქვენ მხოლოდ წაგიკითხავთ ჩინგიზთა, ლენგთიმურთა ისტორია, ჩვენ-კი იმ ისტორიის დასამშვენებლად სისხლის მდინარეები და ტბები გაგვირთვია ჩვენის გამხდარის და გაფუშკილის ტანისთვის.

ლენგთიმურები, ტუღრილები ჩვენთვის სიშორეში დაკარგულის დროების ამბები როდია. სულ ასის წლის წინად დამცირებული ყმები ვიყავით, მაგრამ ისეთივე მხეცები, ისეთივე ნადირი, როგორც ლენგთიმურების ხელში. ხოლო თვით იმ დროს, როცა გერმანელი თავისი გიოტესა, თუ შილლერის გონიერებით სტკბებოდა, როცა ფრანგი თავისი ვოლტერების, რუსოების, მირაბოების წინამძღოლობით მიიმართებოდა სინათლისა და თავისუფლებისაკენ, სომეხთა კათალიკოსი დიდ-მარხვაში, იმ დროს, როცა ქრისტიანე ეკლესია გვირგვინს არ უკურთხებს, საჩქაროდ ბრძანებას ბრძანებაზედ ჰგზავნიდა, რომ მაშინვე ძალად დაექორწინებინათ რვა წლისანი მოკიდებული ყველა ქალიშვილები. მერე იცით, რათა? იმათა, რომ ვინმე ხანის ძმას, ვინმე ბეგს, უნდოდა საარამხანოდ თავისათვის და გარედ გამოსული თავისთვის ქალიშვილებს სომხებში ექებდა. თუ ასეთი იყო უმნიშვნელო ხანის ძმა, უმნიშვნელო ბეგი, შეგიძლიათ გაიგოთ, თუ რა იქნებოდა უფრო დიდი დესპოტი.

არა, თქვენს თავს ნუ დაგვადარებთ. როგორ თუ გვადარებთ. თქვენი უნივერსიტეტები არ გვქონია ჩვენს ქვეყანაში, რომ დღეს დღეზე განვითარებულიყავით. იმ დროს, როცა თქვენს უნივერსიტეტებში მაღალ მეცნიერებრივ ბაექრობას ჰქონდა ადგილი, ჩვენ ნახევრად დაქცეული მონასტრებიც-კი არ გვქონია ბოლომდე, სადაც ემცარ, განადირკვებულ ვარდაპეტს ცოტა წერა-კითხვა ესწავლებინა. მაგრამ რა უნივერსიტეტი. კანონებს, ყველასთვის თანასწორს, თუნდაც ბარბაროსულ კანონებსაც არ გვაძლევდნენ, ნახირ-წოდებულ ხალხსა, და გიკვირსთ.

გიკვირსთ, როცა საუკუნეთა ტალახში იყო ამოსვრილი ჩვენი წმინდა საგონებელი, ჩვენი კაცობრივი ხატება. გიკვირსთ, როცა ჩვენის თვალით დალტობილი ბერი ჩვენს პატრონებს არ უნდოდათ მოეცათ ჩვენთვის ისე, რომ კბილის საჩიჩნი გადასახადიც არ მიეღოთ ჩვენგან. დარჩენილა ადამიანის მოხერხებულობის სიტყვაში სიმდაბლე-და, რომლის ქვემდებარეც არ ვიქნებოდით...

ახლა ჩვენს მეზობლებსაც შეგვადარეთ. ჩვენსავით არავინ ყოფილა. და კიდევ იტყვით, სომეხი ვაჭარიაო. იტყვით ზიზღის პირნაწყვიათ, იტყვით ცხვირის მაღლა აწევით, რათა უგულებელ-ჰყოთ და გაივლით, მაგრამ იცით-კი, რომ ეს არის ჩვენის ისტორიის დატოვებული მძიმე სულთ-მობრძავი სამკვიდრო, რომ ეს არის ჩვენი ათასწლოვანი მეძაობის რისხვა. არა, არ გესმისთ.

სთქვით, შეეძლო თუ არა სომეხს სხვა რამ ყოფილიყო. შეეძლო გამხდარიყო აზნაური, ხელოსანი, მსხვილი მემამულე, შეეძლო მხედრად ჩაწერილიყო, მამულიშვილობის სასწაულები ექმნა, განთქმულიყო მშვიდობიანის კულტურთვანის მოღვაწეობით—სომეხი, რომელიც ნახირი იყო, რომელსაც ცოლ-შვილის საკუთრების სიმართლეც-კი არ ჰქონდა, რომელსაც ჯიბეში დანაც-კი არ ეგდო...

ბრძოლას არსებობისათვის, მიუცილებლობას, რათა გარემოებას შეჰფარდებოდა, სომეხი საუკუნეთა განმავლობაში ვაჭრობისაკენ მიჰყავდა. სხვა ასპარეზი არ იყო მის წინ. ის ან მიწის მოქმედი უნდა ყოფილიყო, ან შინა მრეწველი, ან ვაჭარი. გამუდმებით მოშორებული თავის სამშობლო მიწას, როგორც ერთი მწირი ვინმე მსოფლიოსი, შეეძლებელ იყო მხოლოდ ვაჭრობაში ეპოვნა ბედი. შაჰ-აბას ბარბაროსობდა ყველაფერში და მარტო ვაჭრობისთვის-კი ზრუნავდა.—როგორ არ გამხდარიყო ვაჭარი. პოლონეთში გადასახლებულს სომეხს უპირატესობა ეძლევა, როგორც ვაჭარს. ძალად გვაშორებდნენ ჩვენს ქვეყანას, სადაც ნებავდათ მივჰყავდით და სიშორემანძილისას-კი არას გვეკითხებოდნენ. ბიზანტიის კეისრები გვეწეოდნენ ბალკანეთის ნახევარ კუნძულისკენ, ავღანელებს ქაბულს მივჰყავდით და გვთხოვდნენ, რომ ვაჭრობით ადგვეყვავებინა მათი ქვეყნები. სხვას არაფერს გვთხოვდნენ. შეგვეძლო ვაჭრად არ გავმხდარიყავით.

დიახ, ის იყო უბედური აზრი. როგორც ყმებს, შეგვეძლო თავი შეგვენახა ეშმაკობით, მლიქვნელობით, მატყუარობით. ის იყო ჩვენი ერთადერთი იარაღი არსებობის უსწორო ბრძოლის ველზე. გიკვირსთ, რომ ჩვენის უზრდელობისა, ჩვენის უმწეობის დროს მოვიწამლეთ სისხლი იმ თვისებითა. გვაჩვენეთ სხვანაირი აზრი, რომ მიეცეს უბედურების დაუსრულებელ საუკუნეებს, და ჩვენც აგვმორჩებოდა იგი. გვაჩვენეთ, თუ შეიძლებოდა არ გავმხდარიყავით ვაჭრად, მაგრამ კი გავხდით.

დიახ, სხვა გზა არ იყო,—ან გუთანი, ან მრეწველის ხელ-საწყო, ან სავაჭრო ადაბი. სამივე დავიჭირეთ.

დღეს მარტო სომხის ვაჭარს ხედავთ, ვერ ხედავთ შუბლის-ოფლით მცხოვრებ მიწის მუშას, რომელიც ჩვენის ერის 90% შეადგენს, ვერ ხედავთ ჩვენებურ შინა-მრეწველსა.

მაგრამ ვისი ბრალია, რომ არ შეგიძლიათ დაინახოთ.

ბრალი, დიახ, მარტო თქვენია. თქვენი სიბრმავე დიდი დანაშაულია ისტორიისა და სამართლიანობის წინაშე. ისე გაქვთ წარმოდგენილი მთელი სომხის ერი, თითქოს სრულიად ვაჭრობისა და ექსპლუატატორებისაგან იყოს შედგენილი, აწუხებდეს სხვა ხალხებსა. არა, არა ბრმა ბატონებო, მიიღეთ ხედვის ღონე-რამ, და დაინახავთ, რომ ვაჭრობა მართლა, დიდი და ძლიერი წოდებაა ჩვენში და ვიდრე სხვა ხალხებს შეავიწროვებდეს, ავიწროვებს და ჭუჭნის თავის ხალხსა, თავისს თანამემამულეებს. მე სომეხი ვარ და ვმოწმობ ყველას წინაშე, რომ ყოველ დღე მატყუილებს, მავიწროებს სომხის ვაჭარი, დაწყებული მეწვრილმანიდგან დიდ ვაჭრამდე. მე სომეხი ვარ და ვმოწმობ, რომ სომხის მოვახშე ისე არავის ართმევს სულს, როგორც მე, თავის ღვიძლ ნათესავს. მე სომეხი ვარ და ვმოწმობ, რომ ბაქოელი მილიონერი მე, შინა-მრეწველს, მე მუშას, მე მოსაქმეს, ქუჩაში მაგდებს, ჩემის ვაების, ჩემის ტირილის, მთლიან ჩემის გაჭირვების უგულებელ-მყოფელი.

მე სომეხი ვარ და მოგაგონებთ: რა სარფაა ჩემთვის, რომ სომხის ვაჭრები, სომხის მდიდრები ბოლომდე არიან. ნუ-თუ ნახულა, რომ მოვახშის თამასუქები, ტოვდაკრის ადაბი, მილიონერის ბანკი მზოგავდეს იმის მიზეზით, რომ სომეხი ვარ. თქვენ ვერ გაბედავთ ამის თქმას; ჩვენის ცხოვრების წამებულთა მატიანე თქვენ წინ აღდგება და დასჯის თქვენს ე მაგნაირ სიცრუეს თავისი სისხლითა და ცრემლით...

ბოლოსაც სად დაემალოთ საქვეყნო ლოღიკა. როდის, სად, რომელ ქვეყანაში, რომელ ქალაქში ნახულა, რომ თამასუქმა, ადაბმა, ბირჟამ ერად განსხვავება გულის ხმა ჰქონოს, ერთს დაუყვავოს, მეორე დაზოგოს, ერთს სიკეთე უყოს, მეორეს საფლავი გაუთხაროს.

მე კითხვას ვყოფ. რა ხელი გაქვსთ, რომ ჩემის სისხლის მსმელის ვაჭრის მიზეზით მე მაძაგებთ. ჩემს ყოველ-დღიურს ოფლს, ჩემს ჯანთიდმობილებრივ შრომას, ჩემს კაცობრივ ვარამს რად უგულებელ ჰყოფთ და ფეხით თელავთ, მარტო იმის გამო, რომ მე, როგორც ერს, სავაჭრო წოდებაც მყავს.

საკმაო არ არის, დასასრულ, პირმოთნეობა. სომხის ვაჭარი ზნეობრივი სისაძაგლეა მეტ-წილად. თანახმა გახლავარ. მაგრამ ბრძანეთ, ნუ-თუ გერმანელი, ფრანგის, ბელგიელი ვაჭარი ანგელოზია, ბიწიერება არ არის განცვილიზებულ ხალხებში? თუ არ არის, რად არის მძვინვარე ომი, რომელიც ატეხილა კაპიტალსა და მშრომელ ხელთა შორის, ბირჟასა და მშრომელ ხალხს შორის. როცა ოსტროვსკის პიესებს ვკითხულობ, ვხედავ, რომ რუსის ვაჭრობა სომხის ვაჭრობის ღვიძლი ძმაა. ვკითხულობ სვიფტის სატირებს, ვხედავ, რომ ინგლისელთაც ბევრი ცოდვა აქვსთ, თვით ბეთჰოვენებსა და ჰეინეებს რამდენი გერმანელთა სიბინძურე გამოუტანიათ გარეთ...

თქვენ შეგიძლიათ ბრძანოთ, რომ ევროპა განცალკევებით არი, იქ ადამიანის ბიწიერება დიდ ბოროტებას ვერ დაჰბადებს, რადგანაც იქ არის კრიტიკა, არის ბრძოლა, არის წინააღმდეგობა ბოროტების მიმართ.

ჰო, შემოგვხედეთ, კარგად შემოგვხედეთ და სადად დაინახავთ, რომ ჩვენც ვცდილობთ დავემგვანოთ, დავემოწაფოთ იმ ბრძოლაში, იმ წინააღმდეგობაში. ჩვენი ბიწიერება ჩვენთვის თავმოსაწონებელი როდია, მაგრამ ვერიდებით მას, რამდენადაც თქვენ, და ჩვენ, მოწინავენი, მის მოსასპობად ვეწევით საზოგადოებრივ კრიტიკას, აღზრდას, სწავლასა.

მართალია, ჩვენი ძალები ძლიერ სუსტია, მართალია, ჩვენი ბიწიერება ძლიერ მკვრივია, ძლიერ ძველი, ფესვ-გადგმულია. მაგრამ ჩვენის თავის გვამიც მკაცრია, უწყალო. თქვენ ვერ ჰხედავთ ამ მოვლინებას. რა გეინტერესებათ? მხოლოდ ის, რომ სომეხი ვაჭარია. სხვა არაფერი... მაშინ, როცა უნდა გაინტერესებდეთ ის კითხვაც, თუ როგორ ებრძვის ასეთი საძაგელი ხალხი თავის იარებს. მაშინ ნახავთ, სომხის ბიწიერება ისე არავის გამოუაშკარავებია, ისე არ უძაგებია, სანძუხედ არ გაუხდია, როგორც თვით სომხებსა.

ამას არაფრად აგდებთ თქვენ. მაშ მოსპეთ თქვენის ცივილიზაციის ისტორია. ჩვენ-კი ნუ მოგვსპობთ, ჩვენ განვაგრძობთ ჩვენს ბრძოლას ჩვენის მრავალ საუკუნოვანის მეძაობის შედეგთან. არ დავიღლებით, შვილიდან შვილს დაუტოვებთ საღვთო ანდერძსა ის წმინდა ომი განაგრძონ. ჩვენ გვრწამს, რომ უიმედოთ ავადმყოფი როდია ის ხალხი, რომელიც საკუთარის თითებით არჩევს თავის იარებს, იჭვრიტება შიგ, იხრიკება, ისედება.

ჩვენ, მართალია, დიდხანს, ძლიერ დიდხანს უნდა ვეწიოდეთ წინააღმდეგ ბრძოლას. მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, იმედ დასაწყვეტი ის იქნებოდა, რომ დაგვევიწყებოდა ჩვენი მოვალეობა, რომ შეგვესუსტებინა ჩვენი მებრძოლი ხელები.

აი, რა არ გესმოდათ თქვენ, პირფერო მსაჯულო»...

ამით თავდება წერილი სომხის ავტორისა.

კლდია.

(შემდეგი იქნება)

---

*) Wilhelm von Massow: „Aus Krim und Kaukasus“ Reiseskizzen. Leipsig, 1902. (მგზავრობა ყირიმსა და კავკასიაში).

სხვა-და-სხვა წერილები

„შავის-ქვის ბურჯი და სვეტი“

(ზოგიერთის პუბლიცისტის საყურადღებოდ)

ჩვეულებად არა მაქვს, მართალი მოგახსენოთ, ისეთ „პუბლიცისტებთან“ ბაასი, როგორიც ბ-ნი სვ. ქვარიანი ბრძანდება, იმიტომ-კი არა, რომ მათ უღირსად ვხდიდე ან ჩემზედ მეტად ვსთვლიდე, ან ნაკლებად, ან ამხანაგად მიმაჩნდეს, ან წინააღმდეგად, ან ბატონ-კაცურად ვექცეოდე, ან ყმურად, არა. იმიტომ, რომ პატივისცემით ვეპყრობი საზოგადოებას და არ მინდა უნიადაგო, უშინაარსო, უადგილო და უაზრო პოლემიკით დავღალო და თუგინდ გავართო.

ეს წერილი გამოიწვია არა ბ-ნ სვ. ქარიანის გრძელმა „იერემიადამ“, არამედ პატივცემულის „ივერიის“ რედაქციის შენიშვნამ, რომელსაც შეუძლია ბევრი შეცდომაში შეიყვანოს. ამ უცნაურს წერილს, „ივერიის“ 141 ნომერში დასტამბულს, შენიშვნა აქვს, რომლიდანაც შესაძლოა ვინმემ ის დაასკვნას, რომ პატივცემულ რედაქციას სვ. ქვარიანის წერილში დაუნახავს „რაიმე აზრი“, ჰგონებია, რომ ამ აზრს „თანამოაზრეებიც“-კი ჰყავს და მისი წერილი მიუჩნევია გამომჟღავნებლად ზოგიერთის ისეთის გარემოებისა, რომელსაც შეუძლია შეაფერხოს „შავი-ქვის მრეწველობის წარმოება“. ვამბობთ და ვიმეორებთ, ზოგიერთს შეუძლია ასეთი აზრი დაასკვნას ამ შენიშვნიდგან (მერე თუ ბ-ნ სვ. ქვარიანისთანა კომენტატორები მაინც შეჰხვდათ), თორემ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ პატივცემულმა რედაქციამ კარგად იცის „მძიმე საქმე მარგანეცის მრეწველობისა ჩვენში“ და ამიტომ ყოვლად შეუძლებელია დაენახა ბ-ნ სვ. ქვარიანის წერილში საქმის ნათელის მიმფენი რაიმე აზრი, ან რაიმე საგანი.

1901 წელს, მრეწველთა ერთმა ამხანაგობამ, ეგრედ წოდებულმა „სოიუზმა“ მოიპოვა ბერლინში რამდენიმე კაპიტალისტი, რომელთაც განაცხადეს სურვილი სინდიკატის დაარსებისა იმ პირობით, რომ სინდიკატი გამოიღებს საქმისთვის საჭირო ფულს, თუ-კი ჭიათურის მწარმოებელთა საკმაო რიცხვი შეიკვრება პირობით, რომ არავის მიჰყიდონ ქვა. ქვის გაყიდვა უნდა მიანდონ მხოლოდ ამ სინდიკატსაო. ეს სინდიკატი ავანსად მისცემს ფულს მრეწველთა ამხანაგობას, მადნის ფუთზედ „მაზანდის“ მიხედვით. მწარმოებელთა ამხანაგობას უნდა დაეტოვებია მადანი ბაქნებზედ და, შემდეგ დროისა და გარემოების მიხედვით, გაეყიდნა სინდიკატის შემწეობით. ყოველივე ხარჯი უნდა ყოფილიყო საერთო, საამხანაგო *), ხოლო მოგებიდგან ნახევარი მეაქვთ კაპიტალისტებს, ნახევარი რჩება მწარმოებელთ. ამნაირის საფუძველით უნდა შეკრულიყვნენ გერმანელი სინდიკატი და ჭიათურელი ამხანაგობა.

„სოიუზის“ წევრნი დაბრუნდნენ ბერლინიდგან და მიიწვიეს შარშან მაისში რამდენიმე კაცი, მარგანეცის საქმეში გამოცდილი. ამგვარად შესდგა საორგანიზაციო კომისია, რომელმაც პირველის დღიდგანვე თავმჯდომარედ აირჩია ბ-ნი ზდანოვიჩი. ბ-ნი ზდანოვიჩი შეიქმნა საქმის ფორმალურ თავმჯდომარედ კი არა, საქმის ნამდვილ სულის ჩამდგმელად. ხოლო კომისიის პატივსაცემ, გამოცდილ წევრთა შორის, რაღაც უცაბედად გამოერია ბ-ნი სვ. ქვარიანი, რომელმაც მარგანეცის მრეწველთა უკანასკნელს კრებაზედ ისახელა თავი... **ბევრის ლაპარაკით.**

ჭიათურაში შესდგა მრეწველთა ამხანაგობა „შავი-ქვა“ ბ-ნ ზდანოვიჩის მეცადინეობით. ეს ამხანაგობა შესდგება 19 ჯგუფისაგან. ჯგუფები და ჯგუფის წევრები ერთმანერთს შორის სოლიდალურ პასუხის მგებელნი არიან პირობით შეკრულნი ბერლინის „მანგანსინდიკატთან“.

ამხანაგობა „შავი-ქვა“-ს აქვს თავისი ორგანიზაცია, ჰყავს ორგანო, რომელიც ჰმართავს და განაგებს მის საქმეებს. ამხანაგობის ხელშეკრულობის მე-10 მუხლის ძალით ამხანაგობის საქმეს განაგებს: ა) საზოგადო კრება ამხანაგთა. ბ) საბჭო და გ) გამგეობა. საბჭო (მუხ. 21) შესდგება ჯგუფის წარმომადგენელთაგან (ვექილთაგან). თითო ჯგუფს ჰყავს თითო წარმომადგენელი—ვექილი. მუდმივის გამგეობის შედგენამდე საბჭოს შეუძლია ამოირჩიოს თავის წევრთა, (შენიშვნა 21 მუხ.) ანა და ამხანაგობის წევრთა შორის, რამდენიმე (სამიდან—ხუთამდე) წარმომადგენელი საბჭოსი, რომელნიც მოულოდნელ შემთხვევაში გადასწყვეტენ ხოლმე იმავე საგნებს, რომლის გადაწყვეტის უფლება აქვს მინიჭებული საბჭოს.

ბ-ნ სვ. ქვარიანის დაუბოლოვებელი ბრალდება ასე იწყება:

> „აგერ ხუთი თვეა, რაც ორიოდე გავლენიანმა პირმა ფაჩუქა მრეწველთა მიერ არჩეული საორგანიზაციო კომისია და ამ რიგად მოაშორა საქმეს რამდენიმე სასარგებლო ადამიანი (იგულისხმეთ ბ-ნი სვ. ქვარიანი). საქმის სათავეში ჩადგნენ „დროებითად“ სამი ბატონი“.

ამხანაგობის წესდების ზემო მოყვანილი მუხლების ძალით, წარმომადგენელთა კრებამ 11 თებერვალს 1902 წელს, რომელსაც დაესწრო 17 წარმომადგენელი (ე. ი. ყველანი ორს გარდა), გააუქმა ეგ ორგანიზაცია, რადგან პირობა (წესდება) უნდა აღსრულებულიყო, და ამავე პირობის 21 მუხლის შენიშვნის ძალით, საბჭოს წარმომადგენლებად ხუთი კაცი, (და არა ორი და სამი, როგორც ბ-ნ ქვარიანსა ჰქონია), ამის ოქმი არსებობს და ამ ოქმზედ ხელი აწერია თვით „საორგანიზაციო კომისიის“ ყოფილს მდივანს ბ-ნ ქვარიანს.

მაშ, საორგანიზაციო კომისსია (და მასთან ერთად ბ-ნ ქვარიანის მდივნობა) მოსპო წესდებამ და არა ორიოდე გავლენიანმა პირმა. წარმომადგენლები საბჭოსი ამოირჩია არა „ორმა და სამმა გავლენიანმა პირმა“, არამედ კანონიერმა ორგანომ ამხანაგობისამ, საბჭოს კრებამ, რომელსაც დაესწრო 19-ში 17-ი წარმომადგენელი ე. ი. თითქმის მთელი საბჭო. იქნება ისა ბრძანონ, რომ ამ ჩვიდმეტ კაცზედ „ორიოდე კაცმა იქონია გავლენაო“, მაგრამ, არა მგონია, ამხანაგობის წარმომადგენლებზედ აგრე ადვილად შესაძლო იყოს გავლენის მოპოება; ამ კაცებს აქვთ საქმის ცოდნა და გამოცდილება და, ეჭვი არ არის, თავისივე ჭკუით მოქმედობდნენ და არა ვისიმე გავლენით; ეგრე ადვილად თუ ემორჩილებოდნენ ეს კაცები სხვის გავლენას, ბ-ნი სვ. ქვარიანიც ხომ ამ კრებაზედ იყო, და ამ კაცმა, „რომელიც იყო ხალხის მიერ არჩეული კომისიაში, როგორც წევრი და მდივანი *), რომელსაც განსაკუთრებით მიენდო ხალხი, რომელიც აშფოთდა (ხალხი), როცა ის (ბ-ნი ქვარიანი) სხვა-და-სხვა მანქანებით მოიშორეს საქმიდგან“; ჰო, ასეთმა კაცმა, სვეტმა და ბურჯმა საქმისამ, იმდენი გავლენა ვერ იქონია, რომ კრებამ არა თუ საორგანიზაციო კომისსია, მისი მდივნობაც მოსპო და კიდევ მეტი—ჩვიდმეტ კაცში ერთიც არ გამოჩნდა, რომელსაც ბ-ნი სვ. ქვარიანი დაესახელებინოს „როგორც წევრი და მდივანი“ ახალის კომიტეტისა. ამის ოქმი, ვიმეორებთ, ბ-ნ სვ. ქვარიანის ხელ-მოწერილია და საქმეებში ინახება.

მოდი და ამის შემდეგ ნუ დაუჯერებთ ბ-ნ სვ. ქვარიანს, რომ ჭიათურის მრეწველები მას და მხოლოდ მას მიენდვნენ.

თუ მრეწველთა მიერ ამორჩეულის საორგანიზაციო კომისიის გაუქმება „ორიოდე გავლენიანის პირის“ საქმე იყო, რატომ პროტესტი არ შეიტანა ბ-ნმა ქვარიანმა ოქმში? ხოლო თუ ამის საშუალებაც მოუსპეს, ხელი რაღად მოაწერა ოქმს? ანა და, იქნებ, ხელის მოწერაც დააძალეს? მე ვნახე ის ოქმი და არ ამჩნევია ბ-ნ ქვარიანის ხელის მოწერას ძალ-დატანება. პირ-იქით, შიგ იხატება უსაზღვრო თავისუფლება, თითქო ავტორი, აღტაცებული მიექანებოდეს სადღაც; ისე ეგონება კაცს „იმ გარიყულ გემისკენ“ მიჰქროდეს, „რომელსაც დაჰხვევიან ზღვის ფრინველნი“. შესადარებლად, ნეტავ ეხლა მაჩვენა ბ-ნ სვ. ქვარიანის ხელი, რომლითაც დაწერილია ეს დაუსრულებელი ეპისტოლე. ნამდვილად შეეტყობა ფრთების ჩამოყრა და შეემჩნევა, რომ მისი ავტორი აკაკის არაკის ღამურას გუნებაზედ უნდა იყოს.

ან რა არის ეს „მრეწველთა მიერ ამორჩეული საორგანიზაციო კომისია? რომელმა მრეწველმა ამოირჩია? ამხანაგობა „შავ-ქვა“-ს კანონიერი სახე მიეცა მხოლოდ 9 თებერვალს და ამ დღიდან მას წესდების მიერ განსაზღვრული ორგანიზაცია აქვს. ზემოდაც მოვიხსენიეთ ისტორია „შავი-ქვი“-ს ამხანაგობის დაარსებისა. „სოიუზის“ წარმომადგენელთ საქმის მოსაწყობად მიჰმართეს საქმეში გამოცდილ პატივცემულ პირთ; მათში „მეტიჩარებიც“ გაეჩხირნენ, როგორც ბ-ნი სვ. ქარიანი ბრძანდება. ორიოდე სხვასაც-კი იწვევდნენ იმ კომისსიაში, მაგრამ უარი განაცხადეს, რაკი იცოდნენ, რომ „მეტიჩრობა“ არაფერი ხელსაყრელი და თავმოსაწონია.

რაკი საქმე გაიჩარხა, შესდგა ამხანაგობა „შავი-ქვა“, რომლის პირობა 9 თებერვალს დამტკიცდა და რომელიც ბერლინელ კაპიტალისტებს შეეკრა პირობით, საორგანიზაციო კომისსიას ადგილი აღარა ჰქონდა; იგი, eo ipso, პირობის ძალით, ისპობოდა.

ბ. სვ. ქვარიანი საქმეში იყო და ამ კაცმა, „რომელსაც მიენდო განსაკუთრებით ხალხი“, ერთი კრინტიც არ დასძრა (ტყვილა სამახსოვროდ მაინც შეეტანა ოქმში) იმის შესახებ, რომ „ჯგუფების წარმომადგენლებს ძალდატანებით მოაწერინეს ხელი შეცვლილ წესდებაზედ“.

დღეს-კი თმებს იგლეჯს ამის გამო. ეს ჯგუფების წარმომადგენლები, რომელთაც მიენდო მათი ჯგუფი და სრული რწმუნებითი საბუთები მისცა, ნუ თუ ისეთი ბალღები იყვნენ, რომ ძალით ხელი მოაწერინეს, ნუ თუ არ იცოდნენ და ვერ იგებდნენ, რას შერებოდნენ, ნუ თუ არ იცოდნენ კანონი, რომ ძალდატანებულ ხელის მოწერას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს კანონის წინაშე? ან რისთვის ითმენდნენ ასეთს ძალ-მომრეობას?

---

*) ხარჯებში შედის 6% სარგებელი იმ ფულისა, რომელიც ეძლევა ავანსად მწარმოებელთ.

ავტორი.

*) განა წევრებსაც ირჩევდნენ? თუ ირჩევდნენ, ხომ ყველა წევრი ამორჩეული ყოფილა და რა დიდი განსაკუთრებული ჯილდოა ეს „წევრად არჩევა“, ვერ მივხვდით.

ავტ.

„საქმის სიყვარულისთვისო“? კი მაგრამ, თუ გრძნობდნენ, რომ შეცვლილი პირობა საქმეს არგებს, მაშინ ძალა არავის დაუტანებია მათთვის, ხოლო თუ გრძნობდნენ, საზიანო იყო მათ რწმუნებულთათვის, საკვირველია, რა აიძულებდათ ხელის მოწერას?!

ბ-ნი სვ. ქვარიანი სხვას უკიჟინებს, ხალხს „ბრიყვად და უვიცად“ ხადიანო და თვითონ კი საშინელ ბრალდებით გამოდის ამ ხალხის წარმომადგენელთა წინაშე.

ან-კი რანაირად მოჰხდა, რომ კომისიამ *), რომელიც არჩეულია 11 თებერვალს, შეაცვლევინა წარმომადგენლებს ის პირობა, რომელიც დამტკიცებულია ნოტარიუსის მიერ 9 თებერვალს იმავე წლისა, ანა და ბ-ნ ქვარიანს მისგანვე შედგენილის ოქმების თარიღები აღარ ახსოვს? კომიტეტი 11 თებერვალს არის არჩეული (ამავე დღეს საორგანიზაციო კომისსია ისპობა), როგორღა მოჰხდა, რომ ამ კომიტეტში არჩეულმა ხუთმა კაცმა (თუგინდა სამმა, ბ-ნ ქვარიანს რომ ვერწმუნოთ) შეაცვლევინა წარმომადგენელებს პირობა, რომელიც უკანასკნელის რედაქციით ცხრა თებერვალს გამოვიდა. ან უკანასკნელად ეს მაინც რატომ არ აღნიშნა ოქმში, ის „ბურჯი და სვეტი“ საქმისა, რომ ჰხედავდა, რომ მას ნელნელა იშორებენ თავიდან? მაგრამ ბ-ნ ქვარიანს ტყილა-კი არ „მინდობია განსაკუთრებით ხალხი, აურჩევია წევრათ (?) და მდივნად კომისსიაში?“

„ამ ბატონებმა გაუნაწილეს კომისსიის წევრთ ჯილდო კრების დაუკითხავად... და შემდეგ: გავიყავით ვითომ და ჯილდოთ ხალხის ფული 7000 მანეთი

კი, მაგრამ იმ ვაჟ-ბატონმა, რომელსაც განსაკუთრებით მიენდო ხალხი და აირჩია წევრად და მდივნად ამ 7000 მანეთში ხომ 1300 *) მანეთი აიღო ე. ი. თითქმის მეხუთედი ნაწილი თვით ბ-ნმა ქვარიანმა მიირთვა, და რატომ მაშინ არ გაახსენდა ეგ გულში ხელის ცემა და სხვის ხარჯით ცრემლების ფრქვევა?!

ფულების დარიგება ჯილდოდ გარჯისათვის საორგანიზაციო კომისსიის წევრთა და წარმომადგენელთათვის საბჭოს საქმე იყო. საბჭო წარმომადგენელთაგან (ჯგუფების ვექილთაგან) შესდგება, და იგინი თავიანთის ვექილობის ძალით მოქმედობენ, რომელიც ნებას აძლევს მათ ვექსილებზედ ხელის მოწერისას, ფულების აღებისას და ფულების განკარგულებისასაც. მაშ, ნუ თუ მათი უფლება არ იყო 7,000 მანეთი დაერიგებინათ ოცის კაცისათვის, მართლაც და ნამდვილის სამსახურისა და გაწეულ შრომის დასაჯილდოებლად?!

სასაცილოა აქ მხოლოდ ის, რომ ამ 7,000 მანეთში კარგა დიდ ნაწილს იღებს ბ-ნი ქვარიანი, „რომელსაც განსაკუთრებით მიენდო ხალხი და სხვ.“

„არაფრის გულისათვის არ ინებეს გამგეობის არჩევა (აი სად არის დამარხული ძაღლის თავი), რომ საქმეს თავითვე—განაგრძობს ბ-ნი ქვარიანი—ნორმალური და აზრიანი მსვლელობა მისცემოდა“.

ამხანაგობის პირობის მე-12-ე მუხლის შენიშვნა აი რას ამბობს: „ვიდრე ამ პირობის ძალით შესდგებოდეს გამგეობა, დროებითის გამგეობის მოვალეობა და უფლება დაეკისროს გ. ფ. ზდანოვიჩს. გ. ფ. ზდანოვიჩისა და წარმომადგენელთა საბჭოს **შეთანხმებაზედ არის დამოკიდებული, გამგეობის წევრთა არჩევის დროის დანიშვნა** (კურსივი ჩვენია).

ამ მუხლის ძალით ამხანაგობა საქმის გამგეობას ბ-ნ ზდანოვიჩს აკისრებს და თანაც მის ნებაზედ აგდებს გამგეობის არჩევას. ამიტომ, რომ თუ ბ-ნი ზდანოვიჩი არ დაეთანხმა საბჭოს და საბჭო ბ-ნს ზდანოვიჩს, ისე გამგეობის არჩევნების დანიშვნა შეუძლებელია! ამხანაგობამ ეს მუხლი იმიტომ ჩაურთო პირობაში, რომ უნდოდა ბ-ნ ზდანოვიჩისათვის ჩაებარებინა საქმის მართვა-გამგეობა, ეს ფაქტიურად ასეც იყო. აქაური ამხანაგობა და ბერლინელ სინდიკატის წარმომადგენლებიც იმ აზრისანი იყვნენ, რომ ბ-ნი ზდანოვიჩი უნდა ჩასდგომოდა საქმეს თავში.

ბ-ნი ზდანოვიჩი უარზედაც იდგა, მაგრამ ამხანაგობამ ძალით აკისრებინა გამგეობის ტვირთი ბ-ნ ზდანოვიჩს. ეს ზემორე მოყვანილის მუხლიდგანაც სჩანს. უამისოდ შეუძლებელია ერთი კაცი არ გაჩენილიყო, რომელსაც ვერ გაეგო, რომ ამ მუხლით საზოგადო კრება ამხანაგთა თითქმის თავიდგან იშორებს გამგეობის ამორჩევის მძიმე მოვალეობას. ან რა საჭირო იყო ასეთი მუხლი, ასეთი შენიშვნა, თუ არ იმიტომ, რომ ხალხს (თუმცა ბ-ნ სვ. ქვარიანს-კი სჯერა, რომ ეს ხალხი განსაკუთრებით მე მომენდოო) სურდა საქმის სათავეში ისეთი გამოცდილი კაცი ჰყოლოდა, როგორც ბ-ნი ზდანოვიჩია. ეს ფაქტია მეთქი, ვიმეორებ, და ამის კვალი პირობაშიაცა სჩანს. მე-12 მუხლის ამ შენიშვნაში ქვეით აი რა სწერია: ბ-ნ ზდანოვიჩს გამგეობის არჩევამდის **შეუძლიან დროებით გამგეობას თავი დაანებოს**, ისე როგორც საბჭოს შეუძლიან ბ-ნი ზდანოვიჩი განათავისუფლოს გამგეობის მოვალეობიდგან.

„ხალხი“ რომ განსაკუთრებით არ ჩასციებოდა ბ-ნ ზდანოვიჩს, რა საჭირო იყო იმის მოხსენება პირობაში, რომ „უფლება აქვს, როცა ისურვებს, მიატოვოს გამგეობაო“. და მერე კიდევ „საბჭოს შეუძლიან გაანთავისუფლოს ბ-ნი ზდანოვიჩი თავისის მოვალეობიდანაო“. აქედან როგორც სჩანს, საბჭოს შეუძლიან არც-კი გაანთავისუფლოს ბ-ნი ზდანოვიჩი და წარმოიდგინეთ, რომ ამ გვარად ბ-ნი ზდანოვიჩი თითქმის ჩაბმული დარჩა საქმეში. წარმოიდგინეთ, რამდენზედ ტენდენციურად არის გატარებული საამხანაგო პირობაში ეს უფლება ბ-ნ ზდანოვიჩისა, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარისა და საბჭოისა, როგორც უმთავრესი ორგანოისა ბ-ნ ზდანოვიჩის შემდეგ. თუ ბ-ნმა ზდანოვიჩმა გამგეობას თავი დაანება, საბჭოს შეუძლიან, თუ არ მოისურვებს კოლლეგიურის გამგეობის არჩევას, ბ-ნ ზდანოვიჩის **მაგივრად** სხვა ამოირჩიოს და იმასაც, რასაკვირველია, იგივე უფლებანი ექმნება, რაც ბ-ნ ზდანოვიჩისა აქვს.

ერთის სიტყვით, ამხანაგობამ მთელის თავისის საქმეების მართვა-გამგეობა მიანდო ბ-ნ ზდანოვიჩს და რწმუნებულებს—ვექილებს.

მაშ, სადღა არის აქ „გაქელვა საზოგადოების წევრთა პიროვნებისა და დარღვევა წესდების მუხლისა?“ ან და შესაძლოა წესდება არ წაეკითხოს ბ-ნ ქვარიანს? მერე ეკადრება ადამიანს, რომელსაც ხალხი ირჩევს წევრად და მდივნად, რომელსაც ენდობა ხალხი განსაკუთრებით, ეკადრება ასეთს კაცს, ისეთს წესდებაზედ (პირობაზედ) მოაწერინოს ხალხს ხელი, რომელიც არ წაუკითხავს, და თუ წაუკითხავს, ვერ გაუგია. წესდება ხომ მთელის საქმის საფუძველია და ასე აბუჩად საქმის მოპყრობა ეკადრება კაცს, რომელსაც განსაკუთრებით და სხვა. ხოლო, თუ წაიკითხა, რაღად აწერინებდა ამ მისდამი მინდობილ ხალხს ისეთს წესდებაზედ ხელს, რომელიც არის „გაქელვა საზოგადოების წევრთა პიროვნებისა“. ოჰ, ოჰ, ბ-ნო სვიმონ ქვარიანო, რომელსაც ხალხი ირჩევს წევრად და მდივნად და სხვ.“

ან და იქნებ დღეს აღარ მოსწონს წესდების ეგ მუხლები! მაშ, რაც ბ-ნ ქვარიანს არ მოსწონს წესდებაში, თუ ის შეასრულა კაცმა, პირობის მუხლების დარღვევა იქმნება? ასე, რომ ბ-ნი ქვარიანი ყოფილა უმაღლესი კანონ-მდებელი „შავი-ქვის“ ამხანაგობისა. ეგ რომ არსადა სჩანს. პირ-იქით, საქმეებიდგან მართლა ისა სჩანს, რომ ამხანაგობის წარმომადგენელნი (ვექილები) სცდილობენ თავიდგან მოიშორონ აბეზარი და მეტიჩარა კაცები. ვიდრე პირობის ის რედაქცია არსებობს, რომელიც დღეს დააკანონა ამხანაგობამ, საბჭო და ბ-ნი ზდანოვიჩი კანონიერად იქცევიან, ხოლო, როცა ბ-ნი ქვარიანი „რომელსაც განსაკუთრებით მიენდო ხალხი“, შეაცვლევინებს წესდების მუხლებს, მერე იმ შეცვლილის დაგვარად მოიქცევიან უთუოდ. არა, უფრო ის უნდა ვიფიქროთ, ბ-ნს ქვარიანს წესდება არ წაუკითხავს; რომ წაეკითხა, ხომ იმასაც არა ბრძანებდა, „წესდების მუხლი ირღვევაო“, და თუ წაიკითხა, ვერ გაუგია; ხოლო თუ გაიგო, ცილის წამება მოუწადინებია და, აბა, ცილის მწამებელ ავტორს რაღა დაეჯერება.

პირობის მე-15 მუხლით გამგეობას შეუძლია დააწესოს განსაკუთრებული კონტროლი ბაქნებზედ მოზიდულ მადანზედ და თვალ-ყური ადევნოს ამხანაგობისაგან პირობის შესრულებას ქვის მოტანის შესახებ; გამგეობასა აქვს დავალებული ამხანაგობის ყოველგვარი საბუხჰალტერო ანგარიშების მწყობი; ფულების განკარგულება და მიწერ-მოწერის გამართვა, ყოველთვიურის ბალანსებისა და წლიურის ანგარიშების შედგენისა და სხვ. ამ მუხლის ძალით, მდივანის მოწვევა და „ქიათურის ბანკირების თვეში ას მანეთად“ დაქირავება გამგეობის საქმეა. გამგეობა-კი დღესდღეობით ეკუთვნის ბ-ნ ზდანოვიჩსა და საბჭოს, მაგრამ ბ-ნს სვ. ქვარიანს არ მოსწონს უთუოდ „ქიათურის ბანკირები“, ამხანაგობის მდივანი და, რაკი მისი სურვილი არ აღსრულდა და მისი დაწუნება-მოწონება ანგარიშში არ იქმნა მიღებული „წესდება ირღვევაო“ განაცხადა.

კიტა აბაშიძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) მანამდის ხომ საორგანიზაციო კომისსია იყო.

*) 600 ჯილდოდ, 700 კანცელარიის სახარჯოდ,

თეატრი და ხელოვნება

როგორც შევიტყეთ, შაბათს, 4 აგვისტოს, დანიშნულია სურამში ქართული წარმოდგენა ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით. წარმოდგენილ იქმნება „ურიელ აკოსტა“. ურიელ აკოსტას როლს ითამაშებს ბ-ნი ვლ. ალ.-მესხიშვილი. მეორე დღეს, კვირას, წარმოდგენილი იქმნება მისისავე მონაწილეობით დრამა „სამშობლო“.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

1 აგვისტო

პეტერბურგი. დღეს პეტერბურგიდგან წავიდა სიამის პრინცი შირა.

1 აგვისტო

ყარსი. შესდგა პირველი კრება კომიტეტისა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათათვის.

ხარკოვი. პოლიცმეისტერის ბეზსონოვის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ შეცვლილა საუარესოდ; სიცხე არ მიუცია.

პიატიგორსკი. 1 აგვისტოდგან კავკასიის მადნის წყლებზედ იწყება შემოდგომის სეზონი. დაკლებული იქნება ფასები ბანაობისა და სადგურისათვის. ზაფხულის სეზონში 22,000 ავადმყოფი იყო. ამინდი კარგია სამკურნალოდ.

როსკოფი. 30 ივლისს მოვიდა მივიდა რაზმი ქვეითის ჯარისა თოფებითა და ხიშტებით, რათა ძალით მოეყვანათ აღსრულებაში სასულიერო საზოგადოების გაუქმების ბრძანებისა. მოედანი სკოლის წინ ხალხმა დაიჭირა. ხალხში ერია დეპუტატი გრაფი მენი; მან პროტესტი გამოაცხადა გაუქმების დეკრეტების წინააღმდეგ და სთხოვა რაზმის უფროსს, ხიშტები ჩამოაცალეთ თოფებსაო; უფროსმა განზედ გაიყვანა რაზმი, თვითონვე გააღო კარები და სთხოვა დათა-აღმზრდელთა, დაუთმეთ ძალასაო; დანი მონაზონნი გაემართნენ ეკკლესიაში. ხალხი აღტაცებით მიეგება მონაზონებს.

პეტერბურგი. 30 ივლისს უმაღლესი ბრძანება გამოვიდა გადაიდოს ერთის კვირით კურსკის აღლუმი, რომელიც უნდა დაწყობილ იქმნას 29 აგვისტოს 22 აგვისტოს მაგიერ.

პეტერბურგის ბირჟა, 30 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	46,07½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,65
ბირჟის დისკონტი	4½—6%
4% სახელმწიფო რენტა	96⅞ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	.463 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	351½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	286½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9675 წვ. გაყ.
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	369 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	183 წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს.43 წ. დღ.	11 ს.49 წ.დილ
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს.37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. სად.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს.2 წ. დილ.	7 ს. 43 წ.დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. სად.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. სად.	9 ს. 27 წ.დილ.
ყარსი და **ალექსან.**		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ.დილ.	9 ს. 28 წ. სად.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ.დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. სად.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი აცხადებს, რომ ამა ბანკის მე-14 §-ის ძალით 16 სექტემბერს 1902 წელს, შუადღისას, ბანკის სადგურში ტფილისს, ფრეილინის ქუჩაზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გასყიდვა პეტრე ივანეს-ძის ხალიაპინის უძრავის მამულისა. ამ მამულზედ აგებულია შენობანი. მიწა სამ ნაჭრად არის და საზოგადო ზომა აქვს 260½ ოთხ-კუთხი საჟენი. მამული იმყოფება ტფილისის 1-ლ განყოფილებაში, წყნეთის ქუჩაზედ. ისყიდება ეს მამული იმ ფულის შემოუტანლობისათვის, რომლის შემოტანაც დაწესებულია ბანკის წესდების მე-12, 17, 27, 28, და 36 §§-ის ძალით.

თუ ეს პირველი ვაჭრობა არ შესდგა, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქნება ბანკის წესდების მე-20 §-ის თანახმად იმავე ბანკის სადგომში 30 სექტემბერს.

ვაჭრობა დაიწყება ბანკის წესდების მე-17 §-ის თანახმად იმ ფულიდან, რაც ფული ირიცხება მამულზედ თავნ ვალად. ამ თავნს ვალს ზედ დაემატება ბანკის გადასახადი, აგრეთვე შეუტანელი გადასახადი საერობო, საქალაქო და სხვ. ვაჭრობაში შესვლისათვის საჭიროა წარდგენილ იქმნას ბე ნაღდ ფულად იმდენი, რამდენიც ბანკის შეუტანელი გადასახადი და სხვა გადასახადები ითვლება მამულზედ.

როცა ვაჭრობა გათავდება, მყიდველი მოვალეა წარადგინოს დამტკიცების ფულიცა 14 დღის განმავლობაში.

ზემოხსენებულს მამულზედ ითვლება ბანკის ვალი: თავნი ვალი 15,858 მ. 92 კაპ., შემოსატანი გადასახადი 1265 მან. 46 კაპ. სულ 17,124 მან. 38 კაპ.

(1—6—1)

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდოგრინი“ მ. ვ. ლებედევისა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—18)

გუმმი-პეპსინი
(Gummi-Pepsin)
პროვიზორის ი. ი. პოგოსსკისა.

სალეჭი კამფეტი პიტნა-ნარევი, რომელიც ადვილად ანელებინებს საჭმელს და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ადამიანებისათვის, ვისაც მუცლის ავადმყოფობა (катаръ) სჭირს. აგრეთვე ამცირებს პაპიროზის წევის სურვილს და უკარგავს პირში გლახა სუნს.

5-ი შტუკი კამფეტი, წონით 15 გრამი, ღირს 20 კაპ. იყიდება ყველა აფთიაქებში და აფთიაქის მაღაზიებში.

(8—6.—3)

Открыта подписка на ежедневную (не исключая понедѣльниковъ) газету политической и общественной жизни и литературы

„Бакинскія Извѣстія“

Программа газеты: Дѣйствія и распоряженія Правительства; Телеграммы; Общія статьи по разнымъ вопросамъ; Хроника мѣстная, общая и иностранная; Корреспонденціи; Обзоръ печати; Фельетоны; Судебный отдѣлъ; Нефтяное и горное дѣло; Смѣсь; Справочный указатель.

Подписная цѣна: по 1-ое Января 1903 г. съ доставкою въ Баку и пересылкою въ другіе города—3 р., на 3 мѣсяца 2 р. и на одинъ мѣсяцъ 1 руб.

Такса за объявленія: За строку петита или мѣсто занимаемое ею впереди текста—10 к., а позади текста—7 к. Многократныхъ объявленій по соглашенію.

Редакція и контора изданія: пассажъ Шагиданова. Первый номеръ выйдетъ въ свѣтъ четвертаго августа.

Редакторъ-издатель
Н. А. Гриневъ.

(3—у—3)

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახე ლობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ესთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ.
Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

საბუღალტერო კლასები

დაარს. ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.

შარშან **დაამთავრა** კურსი 106 შეგირდმა: 43 ქალმა და 63 ვაჟმა. კლასებთან არის **ბიბლიოთეკა, სასაქონლო-საცეხნოლ, მუზეუმი და ბიურო** პრაქტიკულ მუშაობათათვის.

წელს მოწვეულნი არიან ლექციების საკითხავად საუკეთესო სპეციალისტები, სახელდობრ: ინჟ. მ. ი. **ჩენგერი**, ინჟ. გ. ი. **დიუკოვი**, იურისტი ვ. ა. **მოსკალოვი**, დამსახ. პრ. **ლევიცკი**, მასწავლ. საშუალ. სასწავლ. ე. კ. **ლიომბენი**, ი. ფ. **გრუმლიკი**, ს. ე. **კოზლოვი** და სხ.

სავალდებულო საგნები კლასებში:

ბუხგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მწერალ მაშინაზედ.

კურს-დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები** და საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი სამსახურში.**

ფასი მთელის კურსისათვის 60 მან. კურსი თავდება 5-ს თვეში და სწავლა სწარმოებს ყოველ-საღამოს 5-დგან 8 საათამდე. მიიღებიან **ქალნიცა და ვაჟნიცა.**

პროგრამები და წეს-რიგი შეგირდად მიღებისა მსურველს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს კლასების კანცელარიაში, ნიკოლოოზის ქ., № 88, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5-დგან 8 საათამდე.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბრიდგან. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. ორი **უსასყიდლო** ვაკანსია თავისუფალია.

დამაარსებელი კლასებისა **ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი.**

ადრესი: მიხეილის პროსპექტი, № 71 15—390—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი **ა. ი. სარაჯიშვილი.**